№ 27 — 1917 | ფასი 20. კ | მეთორმეტე წელიწადი მეხუთე გამოცემისა
კვირა მკათათვის 2



ახალგაზდა მგოსნები

1, გ. ქუჩიშვილი, 2, ი. მჭედლიშვილი, 3. ი. დაროშვილი, 4, ქნარი, 5, გ. ლეონიძე.

ხევსური

1

ცოდვის ქვეყანა დაინგრა,
პირი გვიბრუნა ზენამა,
განწმენდის ალი მოგვედვა,
მოგვმართა ცეცხლის ენამა;
სინათლემ სძლია სიბნელე,
მლაშობი— ნექტრის დენამა!

2

მზე შემოგცინის მშობელო,
ოდითვე გამწარებულო,
დალეწე მონის ბორკილი,
შინ შულლით გაოგნებულო,
რომ შენც მზის სიცილ-ზეიმში
ილხენდე სახელ-დებულო!..

იზიძე

ეროვნული საკითხი.

ამას წინათ („ერთობა“ №79), ბ. ლევან ნათაძემ მეტად საყურადღებო წერილი დასტამბა. წერილში ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, თუ რატომ არ შეუძლია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საქართველოში მხარი დაუჭიროს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას.

მართალია, წერილი მიმართულია „ალიონის“ წინააღმდეგ, მაგრამ ის ეხება იმდენად საყურადღებო და იმდენად საჭირბოროტო კითხვას მთელი ჩვენი ერისათვის, რომ საჭიროა მისი ყოველმხრივი აწონ-დაწონა.

საჭიროა ხალხში ფეხი მოიკიდოს იმ შეგნებამ, რომ ეროვნულ საკითხში სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩვენში თავიდანვე ყალბ გზაზე შედგა. რევოლიუციის ზეგავლენით პარტია თანდათან უახლოვდება ქეშმარიტებას, მაგრამ თამამი სიტყვა ჯერ კიდევ ვერ გაუბედნია იმ პარტიას, რომელიც ისტორიულმა განვითარებამ ჩვენი ქვეყნის სათავეში მოაქცია. სამწუხარო ის არის, რომ ეს ქეშმარიტი მეთაური და ღირსეული ბელადი ქართველი მშრომელი ხალხისა—ჩვენი სოციალდემოკრატიული პარტია—ეროვნულ საკითხში მეთაურობას ვერ იჩენს, უკან მისდევს დროს და ყოველი მისი ნაბიჯი ეროვნულ საკითხში წინ გადადგმული ძალდატანების ნაყოფი და შედეგია.

»მიუხედავათ იმისა, რომ პარტიაში ქართველობა სჭარბობს, იგი როგორც დაწესებულება ქართული არ არის“.

ვკითხულობთ ბ. ლევან ნათაძის წერილში. აქედან ბუნებრივია და აუცილებელი დასკვნაც: პარტიისათვის არ არსებობს არც ქართველი, არც რუსი, არც სომეხი, არც თათარი,—მისთვის ყველა ერთია, ის ყველას ერთნაირათ ემსახურება, ის ყველა ერის ინტერესს ერთნაირათ იცავს.

ვის რა უნდა ჰქონდეს ამის წინააღმდეგი?

თუკი პარტიას შესწევს იმდენი ძალლონე, რომ ყველა ერს კავკასიაში ემსახუროს და თანასწორათ ემსახუროს, თუ კი მას შეუძლია, ყველას გაწვდეს, თუ კი მის დიდგენილებებს ყველგან ექნება გასავალი, ქებადიდება ასეთ პარტიას.

თუ კი მივმართავთ ახლა სინამდვილეს, სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება. უმთავრესი ასპარეზი იმ პარტიისა, რომელიც »როგორც დაწესებულება ქართული არ არის“, საქართველოა.

უმთავრესი და არა თუ უმთავრესი, თითქმის ერთადერთი აუდიტორია იმ პარტიისა, რომელიც „როგორც დაწესებულება ქართული არ არის,“ ქართველი ერია. ათიოდე სომეხი და ათიოდე რუსი, რომლებიც პარტიაში შედიან, ერს არ წარმოადგენენ.

რეალური გავლენა პარტიას, რომელიც „როგორც დაწესებულება ქართული არ არის,“ მხოლოდ საქართველოში, ქართველებში აქვს.

ყოველი რეზოლიუცია ამ პარტიისა, რომელიც„ როგორც დაწესებულება, ქართული არ არის,“ სავალდებულო ხდება მხოლოდ ქართველი მშრომელი ხალხისათვის.

კავკასიის ყველა ერთა შორის დიდი ნდობა გვაქს მოპოებულიო, ვკითხულობთ წერილში, შესაძლებელია, მაგრამ რა უნდა დავასკვნათ აქედან?

სომხის ხალხი ამ პარტიას მიანდობს თვისი ბედის გადაჭრას? რასაკვირველია არა.

თათრები ან კავკასიის მთიელები ამ პარტიას მიანდობენ თვისი ბედის გადაჭრას?

რასაკვირველია არა.

სომხის ერის, კავკასიის მთიელების, თათრების თვალში იგივე ფასი და გავლენა აქვს ამ პარტიის რეზოლიუციებს, რაც ქართველი ხალხის თვალში?

რასაკვირველია არა.

კავკასიის მთიელები და თათრები პარტიის რეზოლიუციებს ეროვნული საკითხის შესახებ არავითარ ანგარიშს არ უწევენ და არ გაუწევენ.

სომხებიც, თათრებიც, მთიელებიც თვითონ გადაჭრიან ეროვნულ საკითხს, და პარტიის რეზოლიუციებათ არ იხელმძღვანელებენ.

ჩვენი ხალხი კი იხელმძღვანელებს და დარჩება წაგებული.

რატომ დარჩება წაგებული?

იმიტომ რომ ეროვნული საკითხის გადაჭრის დროს პარტიის ქართველი უმრავლესობა თვალებში უნდა შეჩერებოდეს სხვა-და სხვა ეროვნებათა თითო-ოროლა წარმომად-

გენლებს და ცდილობდეს, ისეთი არ დავადგინოთ რა, რომ ისინი უკმაყოფილონი დარჩენო.

პარტიულმა ყრილობამ ცხადად დაანახვა ყველას, რომ პარტიის მიერ სულ პატარა ნაბიჯიც კი, ქართველი ხალხის სასარგებლოთ გადადგმული „არა ქართველ წევრებში უკმაყოფილებას იწვევს.“

ამგვარი შიში, ამ გვარი გაუბედაობა მიზეზია იმისი, რომ ეროვნულ საკითხში პარტიამ ვერასოდეს ვერ გამოიჩინა მეთაურობა და ყოველთვის დროსა და მომენტს მოეკცა უკან.

ჩვენ თუ არ გადავჭერით. სხვები გადაჭრიან და გვიან იქნებაო, აი ტრაგიზმი პარტიისა ნოეს სიტყვებით გამოხატული.

ამიტომ პარტიამ ან სრულებით უნდა დაანებოს თავი ეროვნულ საკითხს, რომლის დაძლევაც მას არ შეუძლია, ან ხელფეხი გაიხსნას და გაინთავისუფლოს თავი იმ შიშისაგან: ვაი თუ არა ქართველი წევრები უკმაყოფილონი დარჩენო.

წარმოვიდგინოთ რომ თათრებმა, კავკასიის მთიელებმა, სომხებმა დამფუძნებელ კრებაზე სრულ-უფლებიანი ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია მოითხოვეს.

რას იზამს მაშინ პარტია?

რასაკვირველია, გაილაშქრებს ასეთი ავტონომიის წინააღმდეგ და ამით დაარღვევს იმ სოლიდარობას კავკასიის ერთა შორის, რომლის შენებასაც ანაცვალა ქართველი ერის ეროვნული ინტერესები.

თუ ბ- ლევან ნათაძეს ჰგონია, კავკასიის ერები ამას არ მოითხოვენ, რადგანაც ჩვენი პარტია ამის წინააღმდეგიაო, ფრიად შემცდარია და მალე დარწმუნდება თავის შეცდომაში.

მერე რა მოხდება?

მოხდება ის, რომ კავკასიის ყველა მთავარი ერები მოითხოვენ სრულ უფლებიან ავტონომიას.

პარტია კი, რომელიც ასეთ ავტონომიას უარჰყოფდა ინტერნაციონალურის თვალსაზრისით, უნდა შეებრძოლოს კავკასიის ერთა ეროვნულ მისწრაფებას.

თუ არ შეებრძოლება, მაშინ რაღა ფასი აქვს მის რეზოლიუციებს?

თუ ქართველი სოციალდემოკრატი ავტონომისტები საქართველოს ავტონომიის შესახებ სწერენ, ბ. ნათაძეს აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, თითქოს მათ სხვებისათვის არაფერი არ ემეტებოდესთ.

„ალიონელებს“ ჩემი გამოსარჩლება არ ესაჭიროებათ.

მე კი ჩემს წერილებში რამდენიმე ალაგას მაქვს ნათქვამი, რომ ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია მარტო ჩვენ კი არ უნდა მივიღოთ, არამედ სომხებმა, თათრებმა, მთიელებმა და ამისათვის ჩვენ წინ და წინვე უნდა შევთანხმდეთ ერთმანეთში.

თუ მე ან სხვა ვრცლათ არ შევხებივართ სომხების ან თათრების ავტონომიას, იმიტომ რომ მეტიჩარა ადამიანის როლი სასურველი არ არის: ჩვენ ჩვენს თავს მოვუაროთ, თორემ სომხებს, თათრებს, სხვ. ერებს საკმაო ძალ-ღონე შესწევთ, რომ თვითონ გადასწყვიტონ თვისი ბედი და არც რომელიმე ჩვენგანს, არც პარტიას პროექტები არ აწერინონ.

მე არ ვიცი, რატომ ჰგონია ბ. ნათაძეს, რომ ის თვითმართველობა, რომელიც პარტიამ მიიღო, დააკმაყოფილებს კავკასიის ერებს და სრული ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია კი არა?

მე კი მგონია, რომ თათრები და კავკასიის მთიელები სრულ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას მოითხოვენ და პარტიის ახალი ეროვნული პროგრამით არ დაკმაყოფილდებიან.

ცხადია, ეს თვითმართველობა რჩება ისევ ქართველ ხალხს, სხვა არავინ არ ღებულობს მას კავკასიაში.

ბ. ლევან ნათაძის დასაბუთება არ ეთანხმება მისი პარტიული ამხანაგების დასაბუთებას. ფართო პოლიტიკური ავტონომიის უარყოფას ისინი დაახლოვებით ასაბუთებენ ასე: ჩვენ ცენტრალისტები ვართ, უარვყოფთ სახელმწიფოებრივ პრინციპს და მის ალაგას ვაყენებთ პრინციპს თვითმართველობისასო.

გაიხსენეთ აკაკი ჩხენკელის სიტყვები („ერთობა“ № 76): „ვსთქვათ ამიერ კავკასიაში ცხოვრობს მარტო ერთი ერი და მოითხოვს ტერიტორიალურ ავტონომიას. ჩვენ არც მას

დაუჭერდით მხარს და შევებრძოლებოდით სახელმწიფოებრივობის პრინციპს".

ცხადია, პარტია კავკასიის ერთა სოლიდარობის თვალსაზრისით კი არ ებრძვის ეროვნულ-ტერიტორიალურ სრულ უფლებიან ავტონომიას, ის ებრძვის პრინციპიალურად: სახელმწიფოში სახელმწიფოს მე ვერ დავუშვებო. ამგვარ შეხედულებაში არის ერთგვარი ლოლიკა, ხოლო ასეთი ცენტრალისტობა არ გამომდინარეობს მარქსის მოძღვრებიდან, სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპიდან.

ამგვარი შეხედულება არის კერძო და მასთან ფრიად შემცდარი შეხედულება აქაური პარტიისა, თორემ სხვა ერთა სოციალდემოკრატიული პარტიები არა თუ სრულ უფლებიან ავტონომიას თხოულობენ, ზოგან სრულ დამოუკიდებლობასაც.

ჩვენებური პარტია სიტყვით იცავს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს სრულ გამოყოფამდე, ნამდვილათ კი ებრძვის ამ პრინციპს.

რას ნიშნავს ბ. ლევან ნათაძის სიტყვები: „როგორ მოვაწყოთ კავკასიაში ერთა ცხოვრება ისე, რომ ამ ერებს საჩხუბარი არაფერი ქონდეთ, რომ ამ ერთა ცხოვრება, კულტურა თავისუფლათ და ბუნებრივათ, ძალ-დაუტანებლად ვითარდებოდეს."

როგორ უნდა გავიგოთ ეს სიტყვები, თუ მათ გვერდში ამოვუყენებთ ბ. ნათაძის შეხედულებას, რომლითაც ის წინააღმდეგია ტერიტორიალური ავტონომიისა?

თუ კავკასიის ერებმა სრული ეროვნული პოლიტიკური ავტონომია მიიღეს, მაშინ საჩხუბარი ექნებათ ერთმანერთში და თუ მხოლოდ თვითმართველობა მიიღეს, მაშინ საჩხუბარი ალარა ექნებათრა?

თუ სრული პოლიტიკური ავტონომია მიიღეს, მაშინ ამ ერთა ცხოვრება, კულტურა თავისუფლათ, ძალდაუტანებლად ალარ განვითარდება და თუ თვითმართველობა მიღეს მხოლოდ, მაშინ კი განვითარდება?

ამ შემთხვევაში საჭიროა დამტკიცება, რომ საერთოთ პატარა ერებისათვის ფართო პოლიტიკური ავტონომია მავნებელია.

რაც შეეხება კავკასიის ერთა შორის სოლიდარობას, თუ ყველამ მიიღო ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია, ეს სოლიდარობა გაცილებით უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში თუ არავინ არავითარი ავტონომია არ მივიღეთ.

თუ ვიფიქრებთ, რომ ავტონომიურ საქართველოში სხვა ერები იქნებიან და ეროვნული შუღლი გაძლიერდება, ასეთი შიში უსაფუძვლოა, რადგანაც უმცირესობის უფლებანი დაცული და უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუციით ეროვნულ კულტურული ავტონომიის სახით.

ფინეთში მაგალითად საკმაო რიცხვია შვედებისა მაგრამ იქ არ არის გამწვავებული ეროვნული ურთიერთობა და არც უარყოფენ ფინები თავის ავტონომიას შვედების ხათრით.

არც კავკასიის ერთა სოლიდარობის თვალსაზრით, არც ინტერნაციონალიზმით არ შეიძლება დასაბუთება და გამართლება პარტიული შეხედულების ეროვნულ საკითხში.

თვისი ეროვნული რეზოლიუციის გარშემო პარტია ვერ შემოიკრეფს ვერც სომხებს, ვერც თათრებს, ვერც მთიელებს—კავკასის ვერც ერთ მთავარ ერს. რჩება ხელში მარტო ქართველიერი რომელსაც უნდა მოახვიოს თავს მორცხვი დაშებორკილი ავტონომია ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობის სახით.

თუ შესაფერი დრო დადგა და სხვებმა თავისი გაიტანეს ე. ი. მიიღეს ეროვნული ავტონომია გვაქვს თუ არა საბუთი ვიფიქროთ, რომ პარტიის წარმომადგენლები წინააღუდგებიან საქართველოს სრულ უფლებიან ავტონომიას?

რასაკვირველია, ასეც მოხდება.

ცენტრალიზმი, სახელმწიფოებრივი პრინციპის უარყოფა და მის ალაგას თვითმართველობის წამოყენება სწორეთ ამას მოითხოვს. გაიხსენეთ ბ. ჩხეიძელის სიტყვები.

ამგვარათ სხვას არა დაუშავდებარა, წაგებული ისევ ქართველი ერი უნდა დარჩეს.

ცხადია კავკასიის ერთა სოლიდარობა აქ არაფერს შუაში არ არის.

კავკასიის ერთა სოლიდარობისათვის ის კი არ არის საჭირო, რომ ყველა ერთნაირათ უფლება აყრილი იყოს, არამედ ის, რომ ყველას თავთავის ტერიტორიაზე სრული პოლიტიკური ავტონომია ჰქონდეს.

საქმე იმაშია მხოლოდ, რომ აქაური სოციალდემოკრატიული პარტია, როგორც ცენტრალისტური, პრინციპიალურათ წინააღმდეგია კავკასიის ერთა სრულ უფლებიანი ავტონომიისა. მისი წინააღმდეგობა სრულებით უმნიშვნელოა სხვა ერებისათვის, რადგანაც ისინი თვითონ გადაჭრიან თავის ბედს და ჩვენებს არ მიმართავენ: ძვირფასო ინტერნაციონალისტებო გთხოვთ გადაგვიჭრათ ეროვნული საკითხიო.

ჩვენთვის კი ამ წინააღმდეგობას საბედისწერო მნიშვნელობა ექნება, თუ თვითონ ხალხმა, მუშებმა და გლეხებმა არ აიმაღლეს ხმა.

ივ. გომართელი

პატარა სიმღერები

1

წინ, წინ, ძმებო ნუ შედრკებით;
იმედმა კვლავ ფრთა გაშალა:
ბოროტების მეუფებას
ერთი ბურჯიც მოეშალა!

—

ცოტაცა და მის ძალიდან
ნატამალიც არ დარჩება...
მაშ წინ, ძმებო, ახლოსაა,
ახლოს სრული გამარჯვება!..

2

უკრაინა და ფინეთი,
ესტონეთი და ლიტვია
ერთის გრძნობით გამსჭვალულან,
ერთ მიზნისკენ მიილტვიან:

—

ყველას თავისუფლება სურს,
თავგანწირვით იბრძვის მისთვის...
შენ რას უცდი, საქართველოვ?!
რატომ შენი ხმა არ ისმის...

3

როგორც ქართველს, თავი მომწონს
წერეთლით და ჩხეიძეთი,
რომ თაყვანს სცემს, ვით უკეთესს
თვის ბელადებს მთლად რუსეთი

—

და საწყენად მხოლოდ ის მაქვს,
ის ალმივსებს გულს სევდითა,
რომ ჩვენებურ ვინ-ინჩენკოს
ვერა ვხედავთ მათ გვერდითა...

ლეკო მეგრელი

1917 წელ



საჭიროა გაბედული ნაბიჯი.

ერთი მყავს ათასი მყავდესს
მიჯობსო, ანუ დღევანდელი
კვერცხ ხვალინდელ ქათამს
მირჩევნიაო, — გითქვამთ თქვენ
ჩემნო ძმანო გლეხნო.

დღეს, როდესაც შეგიძლიანთ ეს თქვენი-მცნება საქმედ აქციოთ, კიდევ ორჭოფობთ, გაბედული ნაბიჯი ვერ გადაგიდგამთ და ზეციდან ელით მანანას?

ეს ხომ ძველებური ზღაპარია. და განა კვლავ ზღაპრებით გამოიკვებებით?

აბა შეხედეთ რამდენი პარტია, რამდენი ნასწავლი გეხვევათ: ასე და ასე უნდა მოგიაროთ, ესა და ესა გტკივათ, წამალი აქა და აქ უნდა დაგადოთო.

განა თქვენ არ იცით, რა გტკივათ, წამალი სად დაიდვათ?

კი, მაგრამ პირში რო წყალი ჩაგიყენებია და არას გათქმევინებენ?

მერე ასე რას „გეარშიყებიან“ ეს სხვა და სხვა ჯურის მოღვაწენი?

იმიტომ რომ თქვენში უდიდეს ძალას ხედავენ. რევოლიუციის გამარჯვებისთვის კი თქვენი ძალა ძლიერ საჭიროა: თქვენ ხომ ხორცი ხორცთაგანი, ძვალი ძვალთაგანი ხართ ჯარისა, და მუშების და თუ თქვენ შეგნებით დარაზმულად არ ამოუდგებით დღეს რევოლიუციონურ ჯარს—განა რევოლიუცია გაიმარჯვებს?

არა!

რევოლიუციას რამდენიმე კაცი კი არა ჰქმნის, არამედ მთელი ხალხი, მთელი ერი.

რა არის რევოლიუცია?

წინადაც მითქვამს: ძველი წყობილების, სულიერ-ხორციელ ჩაგვრის, ეროვნულ-ქონებრივ უსამართლობის მოსპობა.

ვის შეუძლიან ეს?.

თქვენ და მხოლოდ თქვენ.

ამიტომ უნდა ამოიღოთ ხმა მედგარი, გადადგათ გაბედული ნაბიჯი!

დაარღვიოთ სულიერი მონობა, მოსპოთ ეროვნული ჩაგვრა, გაასწორონ ქონებრივი უსამართლობა.

რა გინდათ თქვენ?

მიწა-წყალი, ადგილ-მამული.

რავდენჯერ გითქვიათ კერძოთ: რო გააბამთ და მღვდლებივით გვიქადაგებთო, ჩვენ საქმე გვინდა, მიწა მოგვეცით, მიწა თუ გინდა ყიდვით იყოსო, ცარიელ დაპირებით ბეღელი ვერ აივსებთო.

მაშ ეს თქვენი სურვილი საქმედ უნდა აქციოთ.

კიდევ რა გინდათ?

თავისუფლება, რო თქვენი შინაური ყოფა-ცხოვრება ისე მოეწყოს, რომ არც მწვადი დაიწვას, არც შამფური: არც რუსეთს მოშორდეთ, არც მეზობლებს—ყველამ ძმურად იცხოვროთ, თავის ოჯახის ამაღლებით საერთო სახემწიფოს ოჯახი გააძლიერონ, არცა ვინმე დაჩაგროთ, არც თქვენ დაგჩაგრონ.

როგორი წესწყობილება მოგცემთ ამას? საქართველოს თვითკანონმდებელი გამგეობა ანუ ტერიტორიალური ავტონომია.

ამაშია თქვენი ხსნა.

მართალია ამას წინად ერთმა პარტიამ თქვენი დასტურით მიიღო საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობა და თუმცა არარაობას ცალ-უღელი ხარი სჯობია, მაგრამ ამას ის ნაკლი აქვს, რომ თქვენი ყოფა-ცხოვრების შესახებ კანონებს თქვენ ვერ გამოსცემთ, ისევ სხვებმა უნდა დაგიკანონონ.

ეს იქნება ნახევარი თავისუფლება.

განა ნახევარს მთელი არა სჯობია, უთავოს თავიანი?—სჯობია და თქვენც სრული თვითმართველობა უნდა მოითხოვოთ. ეს არის ტერიტორიალური ავტონომია.

ბევრჯერ მითქვამს, კიდევ გავიმეორებ: ამას თხოულობენ რუსეთის ყველა ერნი, ყველა ჩაგრული ხალხნიდა თქვენ, ჩემო ძმანო, ქართველო გლეხნო რაღას ჯიუტობთ, რა ქვა შეგიგდია და თავი შეგიშვერიათ, ავტონომია არ გვინდაო.

იმიტომ ხომ არა, რომ პარტიული პროპაგანდისტები თითს გიქნევენ: საკუთარი ფიქრი არ გაბედო, ჩვენ მოგვყევიო და ისინი-კი ერთხელ ამოფურთხულს ალოკავენ?

ვერა!

თქვენ, ჩემნო ძმანო, საქართველოს ყოველი ერის შვილნო, თქვენ კავკასიონის მრავალ ტომიანო მკვიდრნო ხელერთპიუად უნდა სთქვათ: ჩვენ გვინდა ავტონომია.

თქვენ ეს ერთპირად უნდა სთქვათ თუ ეხურება მას დაკანონო, დამფუძნებელი ეროო მას ანგარიში გაუწიონ.

გაუმარჯოს თქვენს გაბედულ ნაბიჯს!..

იოსებ იმედაშვილი.

პროვინციის თეატრი.

ყველა კულტურულ და დემოკრატიულ ქვეყნებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სახალხო სცენას. სახალხო თეატრი სულიერი საზრდო შეიქნა დემოკრატიისთვის. დემოკრატიული ჰიესები ხელს უწყობენ კლასთა ბრძოლის გაღვივებას. ვისაც უნახავს „ჟან და მადლენა,“ „მეფე,“ „იმედის დაღუპვა“ და სხვა ნათლათ აქვთ წარმოდგენილი ბურჟუაზიის გაუმაძღრობა და მუშათა კლასის აუტანელი მდგომარეობა. მუშა, დიდი ხნის სამუშაოს ძებნის შემდეგ, ქანც მილეული, შიმშილით გაშტერებული, უფსკრულში გადავარდება ღა ქურდობით თავის რჩენას შეუდგება. როცა ასეთ რამეს ხედავ გრძნობით განსახიერებულს სცენაზე, ყოველივე ნათლათ წარმოგიდგება, და ცხოვრებას შესაფერისათ დააფსებ მაგრამ უბედურება იმაშია რომ დღეს სცენა კარგავს თავის მნიშვნელობას, სოფლათ არსებულ წარმოდგენების მართვით. მაგალითად გურიაში სად და ვინ გიდათ წარმოდგინებს, რომ არ მართვიდეს. რა შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს ხალხზე ისეთი რთული დრამის დადგმამ როგორიც „მსხვერპლია“, როდესაც მისი „აღმასრულებელნი“ გარდა 2-3 პირისა, 15-16 წლის მოწაფეებისაგან შესდგება, როგორც ეს სოფ. ბუკის-ციხეს მოხთა და რომ ჯებსაც წარმოდგენაც კი არა აქვთ ხელოვნებაზე. ქართულ თეატრს უბედურება მოელის თუ ამ გზით ვიარეთ. ხალხს თეატრი შესძულდება და მერმე კარგი ძალებიც რომ იქმნეს იმასაც არ დაესწრება. საჭიროა ახალგაზდა „არტისტებმა“, თავი ანებონ დრამებით თავის და ხალხის წვალებას და დაკმაყოფილდენ მხოლოდ საბავშო პიესებით, პატარ პატარა ვოდევილებით ღა უმთავრესათ ლექსებით და იგავ არაკებით რაც ხალხს უფრო შეაყვარებს სცენას. სწორეთ ასეთ საღამოს დავესწარი სადგურ საჯავახოში 16 ივნის, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებლებზე. გამოცდილ პირთა ხელმძღვანელობით, მოწაფეებმა, მოწაფე-ქალი ექიმ ჯაშის ასულის მეთაურობით წარმოადგინეს საბავშვო პიესები. დადგეს ცოცხალი სურათი, და მშვენივრათ წაიკითხეს (განსაკუთრებით მოწ. ქალმა ჯაშმა) რუსულ-ქართული ლექსები. ხალხი მეტათ კმაყოფილი დაიშალა. წარმოდგენის დაწყებამდე ხალხს სიტყვით მიმართა იურისტმა თარგამაძემ. სწორეთ ასეთი წარმოდგენები უნდა მართონ მოწაფეებმა და საჭიროც არის.

გრიშა შარაშიძე

ტბა? (ქოდგას აძდევს) მე მძაგს ქალაქური ცხოვრება. ჩემი იდეალი მაღალ გალავან შემოვლებული დიდ პარკში ცხოვრებაა. ასეთი გარემოება კაცს შეძლებას აძლევს თავისებურად იცხოვროს.

ფრ. ანნა. თქვენ ეპიკურის მიმდევარი ყოფილხართ.

იოჰ. დიახ, მართალი ბრძანდებით! გარწმუნებ რო ამას აღარაფერი სჯობია. თქვენ ხომ არ შეგცივათ. —რადგანაც...

ფრ. ანნა. არა, სრულებითაც არა. მე მაგრე გასათუთებული არ გახლავარ. (იოჰანესი გზას უთმობს ანნას. ორივენი შუშაბანდში გადიან,—ჩოსჩანს—იოჰანესი როგორ უხსნის სურათებს სტუმარს ქალს. შემდეგ ბადში მიეფარებიან. ბრაუნი და შემდეგ კეტე შემოდიან საწოდ ოთახიდან)

ბრ. (ათვალიერებს) წასულან.

ფრ. კეტ. წასულან?

ბრ. ბავშვის შესახებ ნურაფერსა სწუხართ... ეგ ჩვეულებრივი მოვლენაა.

ფრ. კეტ. მე ძალიან მაწუხებს.

ბრ. რათა?

ფრ. კეტ. (დიმიდით) პირველად რო შევამჩნიე, სწორე გითხრათ, გულის ფრიალი მომივიდა.

ბრ. მეტად ნერვებ აშლილი ხართ..

ფრ. კეტ. მართლა, ძალიან ამაყია?

ბრ. ვინა?

ფრ. კეტ. იმ ფრეილინაზედ ვამბობ.

ბრაუნი. ანნა მაარი? ამაყია? რას ბრძანებთ? სრულებითაც არა.

ფრ. კეტ. რატომაც არა? მე იმის ალაგას ძალიან გავამპარტავნდებოდი.

ბრ. სრულებითაც არა! რას ბრძანებთ?! ტყუილათ წარმოგიდგენიათ იმისი სიამაყე.

ფრ. კეტ. პირიქით, მე დიდ პატივცემას ვგრძნობ მისდამი.

ბრ. ჰო, ხანდისხან ცოტაოდენ თავხედობას იჩენს,მაგრამ შეიძლება კაცმა გადააჩვიოს. (სიჩუმე).

ფრ. კეტ. იოჰანეს ზოგიერთა ხელნაწერები სტოლზე დაუტოვებია. ნეტა მაგ ქალს გაეგება რამე ამ ნაწერებისა?

ბრ. ვგონებ გაეგება.

ფრ. კეტ. მართლა? ოჰ, რა შესაბრალისნი ვართ ჩვენ, უსწავლელები.

ბრ. არც მე მიმიღია დიდი განათლება, მეც არა ვყოფილვარ უნივერსიტეტში, მაგრამ ამის გამო სასკოლო სიბრძნით დატვირთულ ქალებზე ჩემ თავს დაბლა არ დავაყენებ...

ფრ. კეტ. უეჭველია კარგათ ლაპარაკობს.

ბრ. კარგათ ლაპარაკობსო? ოჰ, ღმერთო ჩემო, არა ისიც ისე ლაპარაკობს, როგორც ჩვენ ყველანი... მართლა ჭკვიანი ქალია, მაგრამ იმის თქმა.... რომ.

ფრ. კეტ. (დიმიდით) წინეთ ძალიან მიყვარდა ყბედობა, მაგრამ ეხლა ხმის ამოღებისაც კი მეშინიან, უბრალო სიტყვის თქმაც ვერ გამიბედნია. (შუშაბანდის კარებიდან უძახის) ერთი პრიბორი კიდევ მოუმატე.

ფრ. ფოკ. (შუშაბანდიდან, სადაც, ის სუფრას ამზადებს) ჩვენთან კიდევ ვინ ისადილებს?

რფ. კეტ. ფრეილინი (ქადი შვიდი).

ფრ. ფოკ. ვინა? ჰო! კარგი კეტე, ვიცი.

ფრ. კეტ. (ოხვრით ბრაუნს) ახ! გვიანლაა ეხლა! რა ვქნა. გზა-კვალი ამერია. ვცდილობ, მაგრამ ტყუილა უბრალოთ. (ვარდების თაიგულს უყურებს) შეხედე რა მშვენიერია: ჯერ არ დამჭკნარა (თაიგული ბრაუნთან მიაქვს) დაყნოსე რა მშვენიერი სუნი აქვს!

ბრ. საუცხოოა.

ფრ. კეტ. (თაიგულს თავის ადგილს სდგამს) ახალგაზდაა?

ბრ. ვინ?

ფრ. კეტ. ფრეილინ მაარი.

ბრ. სწორე მოგახსენოთ არ ვიცი რამდენი წლისაა.

ფრ. კეტ. მე უკვე ოცდაორი წელი შემისრულდა. დიახ, დიახ. დავეშვი თავდალმართზე.

ბრ. რასაკვირველია! ციცაბ დალმართზე!.. (იცინის)

ფრ. კეტ. მე მაინც სულელი ვარ (ფრ. ფოკერატი თავს კარებში)

რფ. ფოკ. ეხლა ყველაფერი მზათ არის, შვილებო! (უკანვე კადის, ისმის ძახილი: მამა, მამა!. (ბატ. ფოკერატი და პასტორი სუფრასთან ზეგ კუნებაზე ზრიან. შუშაბანდის კიბეზე ამოდიან).

ფოკერ. (კადებული კარებიდან. ხელში პასტორის პალტო უჭირავს.) აბა გთხოვთ მოიბძანდეთ და შეინახოთ

პასტორი-კოლლინი. (ხელში უჭირავს შლიაპა, ბლედი ჯოხი. იცინის, თან სიგარას ეწევა) ხა., ხა.. რამდენი ვიცინე! მომხედე... ხა.. ხა.. რამდენი ვიცინე!.

ფოკერ. ბატ. პასტორო, გარწმუნებთ რომ ნამდვილი ამბავია—ფაქტია. (პალტოს ჰკიდებს

პასტორ. . . . . . „ბატ. ნეიგებაუერ, კიდევ რას მიბრძანებთ! (იცინის) ხა. ხა.. „რას მიბრძანებთ!“ (იცინის. შლიაპასა და ბლედს ჰკიდებს, თავზე პატარა ქუდი ხურავს)

ფოკერ. (ისიც იცინის) ბატ. ნეიგებაუერ (ბრაუნს) ბატ. ბრაუნ! სოფელში მიცვალებულს თურმე ასაფლავებდენ. მიცვალებულის ყველა ნათესავები კუბოს გარს ეხვივნენ და უცებ... (სახის გამომეტყველებით შეძრწუნებას გამოხატავს) რაღაც ხმა შემოესმათ... ასე გონია სკამი გააცურეს იატაკზე, ან სხვა რამ ამ გვარიო (კიდევ შეძრწუნებას ხატავს) ყველანი შეშინდნენ. მხოლოდ ეკლესიის დარაჯი არ შეკრთა. ის უფრო გულადი გამოდგა: ფრთხილათ მივიდა კუბოსთან. (აჯავრებს და სტოლზე თითით აკაკუნებს) ბატ. ნეიგებაურ, ბატ. ნეიგებაურ, კიდევ რას მიბრძანებთ? (მხიარული სიცილი მეორდება).

პასტ. (იცინის) გამიგონეთ ხა.. ხა.. ხა.. ეს კარგია! მე კარგათ ვიცნობ იმ ეკლესიის დარაჯს.

ფრ. ფოკერ. (შემოდის) მამილო, მობრძანდით თორემ სუფი გაცივდება.

ფოკერ. ბატ. პასტორო, გთხოვ მობრძანდეთ.

პასტ. თქვენ მაინც შემაცდინეთ (სიგარის ნამწვარს საფერფლეში აგდებს) ყური მიგდეთ, ფრაუ ფოკერატ!..

ფოკერ. (აპირებს რძალს ხელი მისცეს) იოჰანესი სად არის?

ფრ. ფოკ. ის ქალიშვილი? იოჰანესისაგან მწყინს, ღმერთმანი. საჭმელები გაცივდება.....

ფოკ. (მხიარულად) ჰხედავთ ბატ. პასტორო! ჩიტის რძეცა ჰქონდათო?

პასტ. და მშივრები კი დაბრუნდნენ შინ.. ხა. ხა.. ხა.

ფოკერატი. უეჭველად ის ქალიშვილი იყო. ჩვენ დავინახეთ, რომ ვიღაც ქალ-ვაჟი ტბაზე დაცურავდნენ, არა ბ. პასტორო?

პასტორი. დიახ, დიახ, რასაკვირველია, ისინი წავიდნენ სასეირნოთ.

ფრ. ფოკ. ჩვენ დავსხდეთ, ნულა მოუცდით.

ფოკ. ვინც იგვიანებს...

ბრ. (რომელიც აქამდის ფანჯარაში უყურებდა) მოდიან, მოდიან

ფოკ. ეღროებოდათ. (იოჰანესი და ანნა შემოდიან შუშაბანდის კარებთან)

იოჰან. ხომ არ დაგვიგვიანია?

ფოკ. სწორედ დროზე მოხვედით.

იოჰან. უკაცრაოთ. გთხოვთ მაპატიოთ... ტბაზე სეირნობა ისეთი სასიამოვნოა. ნება მიბოძეთ გაგაცნოთ (წარუდგენს) ბატონი პასტორი კოლინნი, მამა ჩემი! დედაჩემი!

ფრ. ფოკ. ჩვენ უკვე გავიცანით ერთმანეთი...

იოჰ. ჩემი ცოლი ფრეილინ მაარი. (ყველანი მწუობრად შუშაბანდში გადიან ხელი ხელ გაყრილები: ფრაუ ფოკერატი—პასტორთან, ფრაუ კეტე მოხუც ფოკერატთან, ფრეილინ მაარი-იოჰანესთან, უკან მარტო მიდის ბრაუნი) ოთახი დაცარიელდება. ძიძის ნანა ისმის. შუშაბანდიდან მოისმის თეფშების წკრიალი. ოთახში მარდათ შემოდის კეტე. შკაფიდან რიდაცის გამოტანას აპირებს, თან შემოსდევს ფეხაკრებით იოჰანესი).

იოჰან. კეტე, აბა მაგას რათ შვრები? ხო იცი რო სირბილი გაზნევს. შენ დაეხსენ. ყველაფერს მე გავაკეთებ....

ფრ. კეტ. კარგია ერთი! არც მაგრე სუსტი ვარ...

იოჰან. (ძლიერ აღელვებულია) გამიგონე! ეგ ქალი სულ სხვანაირი ქმნილებაა. არა? რა ცოდნა აქვს! როგორი თავისებურობა ეტყობა მსჯელობაში!.. და წარმოიდგინე, რომ დიდ გაჭირვებას განიცდის თვიდან თვემდის ძლივს იოლას გამოდის. გახსოვს, ერთხელ ბრაუნმაც გვიამბო, იცი რას გეტყვი? მე ვგონებ, ჩვენ უნდა ვთხოვოთ მაგ ქალს, რომ ერთი ორი კვირა ჩვენთან დარჩეს:

ფრ. კეტ. როგორც გინდა ისე ჰქმენი.

იოჰ. მე კი რა, მაგრამ შენ უსათუოდ გჭირია კარგი ამხანაგი, უნდა მოვინდომოთ მაგისი დარჩენა! იცი რამდენ რასმეს შეისწავლი მაგ ქალისაგან!

ფრ. კეტ. იოჰანეს, შენ ხანდისხან აუტანელი ხარ!.

იოჰან. განა მართალს არ ვამბობ? შენ ყოველ ღონისძიებას უნდა ხმარობდე, ყოველ შემთხვევით უნდა სარგებლობდე, რომ გონებით განვითარდე; უნდა მიისწრაფოდე ამ მიზნისკენ.. შენ ორივე ხელებით უნდა დაებღაუჭო მაგ ქალს, მაგრამ შენი მხრივ ასეთი გულგრილობა სწორე გითხრა, არ მესმის.

ფრ. კეტ. მე ხომ მსურს. მინდა ყველა ის, რასაც შენ ამბობ ოჰანეს!

იოჰან. თქვენში ნაპერწკალი არ არის! ის ღვთაებრივი ნაპერწკალი!.. არც ერთი ბეწო ინიციატივა!.. ეს საშინელებაა! (პასტორი დანით ჭიქაზე აკაკუნებს)

ფრ. კეტ. ჰანეს, წადი წადი, პასტორი სადღეგრძელოს ამბობს. მეც ეხლავე მოვალ! მე მინდა და მივისწრაფი კიდეც!.. უხერხულია რომ სუფრას ორივემ თავი დავანებეთ, როდესაც...

იოჰან. კარგი, კეტე, დამშვიდდი! ნუ ჯავრობ.

(ცრემლ მორეულ თვალებს უკოცნის და საჩქაროთ შუშაბანდში გადის), პასტორის ხმა ისმის. საწოლ ოთახიდან მოისმის ძიძის ნანა. ფრაუ კეტეს რაღაც ემართება. იოჰანეს გასვლისათანავე დონე ეცემა. გაქცევა უნდა, მაგრამ ექნევა. სტოლსა და სკამებს ებჯინება. თავბრუ ესხმის. ბოლოს ფეხზე დგომას ველარ შესძლებს და სკამზე ჯდება. ერთ წერტილს გაუშტერებს თვალს და ტუჩებს აცმაცურებს, თვალები ცრემლებითა აქვს სავსე. პასტორი სიტყვასათავებს, ჭიქების ჟღრიალის ხმა ისმის. კეტე გონს მოდის, ძალდატანებით დგება და დასუსტებული ნაბიჯით მიდის შუშაბანდისაკენ.)

ფარდა

მოქმედება მეორე.

შემოდგომის საუცხოვო დილაა. ფრაუ ფოკერატი, საშინაო ტანისამოსით, გულსაფარ გაკეთებული,—დილის ყავისათვის სტოლს ამზადებს ისმის კაცების ხორის სიმღერა. მგალობელთა საზოგადოება წაუვლის სახლს გვერდზე. კარებში გამოჩნდება ანნა მაარი, რომელსაც ხელში ყურძნით სავსე კალათა უჭირავს. ანნა შედგება და სიმღერას ყურს უგდებს. შემდეგ ხელით თვალებს იჩრდილავს და შორს ტბისაკენ გაიყურება სიმღერა თანდათან მისწყდება. ანნა შემოდის. მოკლე სახელოებიანი შავი დილის კაბა აცვია თავზე გადაგდებული აქვს შავი აბრეშუმის „ტახოცი" (კრუჟევის თავზე მოსახვევი), გულზე მიმაგრებული აქვს შემოდგომის ფერადი ფოთლების თაიგული).

ფრ. ფოკ. დილა მშვიდობისათ, ფრეილინ!

ფრ. ანნა (კალათას მაგიდაზე სდგამს, მირბის ფრ. ფოკერატთან და ხელებს უკოცნის) დილა მშვიდობისა, დედი.

ფრ. ფოკ. ასე ადრიანათ კიდეც ამდგარხარ, ჩემო კარგო?

ფრ. ანნა. მე და ბატ. იოჰანესი ყურძენსა ვკრეფთ.

ფრ. ფოკ. ეხლა სწორეთ დროა. (ყურძენს გემოთი სინჯავს) სულ ერთია, ეხლა სიტკბო მაინც აღარ მოემატება... ფრეილინ, განა არა გცივათ (მოშველა მკლავზე უწკაპუნებს) ასე სუბუქათ რო გაცვიათ? ვგონებ დღეს კარგათა გრილა.

ფრ. ანნა (შემდეგი ლაპარაკის დროს სიფრთხილით აღაგებს კალათიდან მტევნებს და ხონჩაზე შლის) მშვენიერი გრილი ჰაერია, მაგრამ სიცივე აინუნშიაც არ მომდის: სიცივეს მივეჩვიე. საუცხოვო ჰაერია! დღეს დილით ნავების დასაბმელი მარგილები სულ ერთიან თეთრი იყო რთვილისაგან: საკვირველი სანახავი იყო! საზოგადოთ უნდა ვთქვა, რომ მშვენიერობაა აქაურობა. დედა ფოკერატ, არ შეიძლება მოგეხმაროთ?

ფრ. ანნა. საშაქრე მომაწოდეთ, გეთაყვა.

ფრ. ანნა. (საშაქრეს სტოლზე დასდგამს. სტოლს მიეყუდება და შორს გაიყურება) თქვენ ხომ არ გწყინთ, რომ დედა ფოკერატს ვეძახი?

ფრ. ფოკ. (სიცილით) აბა ეგ რა სათქმელია.

ფრ. ანნა. მე ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ნებას მომცემ ასე გიწოდოთ. (მოულოდნელათ გატაცებით ჰკოცნის ფრაუ ფოკერატს) დიდათ და დიდათ გმადლობ იმისათვის, რომ ცოტა ხნობით თქვენთან ცხოვრების ნება მიბოძეთ.

ფრ. ფოკ. მაგრამ ჩემო ფრეილინ ანნა.

ფრ. ანნა. რომ იცოდე რა ბედნიერათ ვგრძნობ თავს თქვენს ოჯახში! ყველანი რაღაც გულმტკივნეულად მექცევით. საერთოთ

კი მეტად კარგი ხალხი ბრძანდებით..

ფრ. ანნა. დახეთ მომითმინეთ, კაბაზე ღვთის მშობლის ძაფი გაქვთ. (აცდის ობობას ქსელის ძაფებს).

ფრ. ანნა. მე სრულებით არ მეგონა, რომ ამისთანა ბედნიერი ოჯახი იქნებოდა სადმე, ჩემ სიცოცხლეში ამისი მსგავსი არა მინახავს რა და ვერც წარმოვიდგენდი თუ იყო.

ფრ. ფოკ. (ქსელს აცდის) აბა ეგ რა სათქმელია, ანნა. აი აქ კიდევ ბაწრებივითა გკიდიათ....

ფრ. ანნა. დედა ფოკერატ, თქვენა გჯერათ ეს ცრუ მორწმუნოება?..

ფრ. ფოკ. სრულებითაც არა, არა ჩემო კარგო!. თქვენ მართალი ხართ!.. უფალმა დმერთმა დიდათ დაგვასაჩუქრა თავის მოწყალებით, მაგრამ ყველაფერი ის არ არის, როგორათაც შეიძლებოდა რო ყოფილიყო.

ფრ. ანნა. არ ვიცი... ღმერთმანი.. რაზედა ბრძანებთ... ყველანი ვინც აქ არიან.. ნუ, მაგას ნუ ბრძანებ...

ფრ. ფოკ. არა, არა, თქვენ მართალი ხართ. სამდურავი არ გვმართებს (სიტყვას ბანზე აგდებს). მართლა, კარგათ მოხდა რომ ჩვენთან დარჩით. (იდუმალად) იოჰანენ თქვენ სწორედ მფარველ ანგელოზად მოევლინეთ.

ფრ. ანნა. (შეშინებული. ეგითდება, მერე ეითდება. შემდეგ უცბათ აღელვებული ეუბნება) თქვენ ხომ ცოტათი მაინც გიყვარვართ?

ფრ. ფოკ. ძალიანაც მიყვარხართ.

ფრ. ანნა. მაგრამ, უეჭველია, იმდენად არა, რამდენათაც მე თქვენ მიყვარხართ: როგორც ალალი დედა სწორეთ ისე შემიყვარდით (იდგებს ხელში ტირიელ კალთას და ბალში აბარობს) ბატ. იოჰანეს არა ჩვეულებრივი და მეტად ჩვილი გული აქვს.

ფრ. ფოკ. როგორ?

ფრ. ანნა. ისე, საერთოდ... მაგალითად, გუშინ ქუჩაში მთვრალი კაცი შეგვხვდა. სწორედ იმ დროს ყმაწვილებიც სკოლიდან გამოიშალენ.... არც დიდები უსვენებდნენ მთვრალს. მიუჰელის კოშკის მახლობლად დიდძალი ხალხი შეიყარა.

ფრ. ფოკ. დიახ, მაგას ვერ მოითმენდა. მაგისთანა შემთხვევაში თავს ვერ შეიკავებს. ემაგისთანებისათვის ბევრი უსიამოვნება შეხვდერია

ფრ. ანნა. დედა, განა ეგ საქმეები არ არის?

ფრ. ფოკ. ქების ღირსია... რატომაც არა. რასაკვირველია, კეთილი ყმაწვილია.... მაგრამ თუ კარგათ დაუფიქრდებით: რა მინდაო? რის მაქნისია ასეთი გულკეთილობა? მაგაზე თუნდა ათასჯერაც რო კეთილი იყოს რა გამოვიდა? ღმერთი კი დაკარგა და... დიახ ძნელი, ასატანია, დამერწმუნეთ. განსაკუთრებით დედისა.. და მშობლისათვის, რომელთაც არაფერი დაზოგეს, თავი დასდეს, რომ შვილი კეთილი ქრისტიანი გამოეყვანათ (მდედგარეობის დასაფარავად ცხვირს იწმენდს) ეს შეჩვენებული სურდოც რამოდენიმე დღეა.. (მტვერს სწმენდს. მტირე ხნის შემდეგ) კეთილია, უეჭველად კეთილია! ყველა ეგ ძალიან კარგი მაგრამ მწუხარება კი გაორკეცებული: ცხადათ ეტყობა, ურწმუნოებისაგან თვითონვე როგორ იტანჯება, არაფერში, რა საქმეც გინდა დაიწყოს, ხელი არ ემართება მუდამ რაღაცა აწუხებს.. სულ საითკენღაც მიეჩქარება, მიეშურება. მაგისი ცხოვრება ცხოვრება კი არა, რაღაც დოდია, მარულაა... კიდევ კარგი, რომ აქედან რამე გამოდიოდეს, მაგრამ არა, რამდენსა სცდილობს, მაგრამ უკეთესობა არაფერში ეტყობა... პატარაობისას კი ყველასათვის საკვირველი რამ იყო. მახსოვს ჯერ ისევ პასტორ შინდელმა... მაგისაგან ყველა გაოცებული იყო. თორმეტი წლისა მეორე კლასში გადავიდა, ჩვიდმეტი წლისამ გამნაზია გაათავა... ეხლა?... ეხლა ყველა ნაამხანაგრებმა გაასწრეს. მაგაზე გაცილებით ნაკლები ნიჭისანი კარგა ხანია სამსახურში არიან.

ფრ. ანნა. სწორე მოგახსენოთ, ეგ ადვილი გასაგებია: ბატ. იოჰანესი უბრალო მომაკვდავზე მაღლა სდგას, გაკვერილი გზით სიარული მაგისი საქმე არ არის. ბატ. იოჰანესი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც ცხოვრებაში ახალ გზებს ეძებენ.

ბრ. ფოკ. მაგისთვის კი გახვრეტილ გროშს არვინ მოგცემს, ფრეილინ ანნა! მაშ რისათვის იყო ამოდენა შრომა-მეცადინეობა, თუ უსარგებლოდ დაიკარგება .. მე რო მკითხოთ, უკეთესი იქნებოდა უბრალო მუშა

სალამი სამშობლოსადმი

(სადსურ კიდოზე)

სალამი ჩემო სამშობლოვ, სამშობლო საქართველოო,
თეთრ-შავ ზღვებს შუა მდებარევ, მთა-ბარ-ტყევ-მინდორ-ველოო!
ზოგგან ზეცაში აჭრილო, სიმაღლით თვალის მჭრელოო,
ბუნებრიულო სიმაგრევ, ვერაგ მტრის გულის მყრელოო!
ზოგგან ძირს დაბლად გაშლილო სწორ-ვაკევ ტრიამელოო,
ნაირნაირი ყვავილით ნაქარგო, მომხიბვლელოო!
ზოგგან გველივით კლაკნილო, ქედებო წვრილო, გრძელოო,
სხვა და სხვა ხეხილ-მცენარით, ედემის ბაღო ვრცელოო!
ძვირფას მადნებით აღვსილო, პირველო სამრეწველოო,
ოქროს და ვერცხლის ბეღელო, სიმდიდრით ულევველოო!
მასთან ზე-ჰაერ-წყლებითა ავათმყოფთ გამკურვნელოო,
სიცოცხლის წყარო, წამალო სათაყვან-სამლოცველოო!
სალამი აქა მცხოვრებო, ქართველო ტომო მთელოო:
ქალდ-კოლხ-ივერთა ძე-შვილო, არსებით ძველის ძველოო!
თუშ-ფშავ-ხევსურო, ინგილოვ, ქართლ-კახელ-იმერელოო,
გურულ-მეგრელო აფხაზო, სვან-ლაზ-მესხ-აჭარელოო,
ჩერქეზ-ლეკ-ქისტო ჩაჩანო, ოს-რაჭველ-ლეჩხუმელოო,
შთამომავლობით სისხლ-ხორცით, ერთო და განუყრელოო!
ერთ დროს დიდ თამარ მეფისა სამწყსოვ და სამმართველოო,
ერთგულო სპა-ჯარ-ლაშქარო, ამაყო უძლეველოო!
თავისუფლების, სიმართლის მარად დარაჯო, მცველოო,
მრავალ საკვირველ საქმეთა მომხდენ-ბამდენო მქნელოო!
შენი ბრწყინვალე წარსულის ძველ ნაშთებითაც მთქმელოო,
უცხოს და შინაურისთვის ყველასთვის საკვირველოო!
მოყვრის მოყვრულად მიმღებო ზე-ტკბილო მასპინძელოო,
მტრისა კი მტრულად შემხვედრო, ზურგზე ბოლ-ამდენელოო!
სალამი უმხურვალესი ხალხ-ერო სასახელოო,
სხვა რაღა გითხრა, გიამბო, რა ბევრი გავაგრძელოო!
უზენაესს ვსთხოვ მარად ჟამს იცოცხლო, იდღეგრძელოო,
იცოცხლო ძმობით, ერთობით, ძვირფასო საყვარელოო!..

ევგენი დვალი.

ციმბირი.

ნაცნობები

— შენ ეი რატომ ჩემ შეკითხვებზე პასუხს არ იძლევი, რატომ?!

დუმილი

— რატომ პასუხს არ იძლევი?!

კვალად დუმილი.

— ეს ყუმბარები ვინ მოგცა, სად იშოვნე?

და შემკითხველმა ხელი გაიშვირა მარჯვნივ, სადაც ყურამდე სავსე შეკრული ხელსახოცი იდო.

— რატომ არ იღებ ხმასა, რატომ?...

აქ მაგიდასთან მიმჯდარი შემკითხველი ზეზე წამოდგა, შემოუარა მაგიდას და მუშტ მოღერებული მუქარით მიუახლოვდა მაგიდის წინ მდგომ ყმაწვილ კაცს, რომელიც თავ ჩაღუნული გაუნძრევლად იდგა და ხმას არ იღებდა.

— შენ გეკითხება მთავრობის წარმომადგენელი, შე წუპაკო! რატომ არ იღებ ხმას?! შე მ...

და მოღერებული მუშტი ცხვირთან გაუქან-გამოუქანა.

— მიპასუხებ, თუ არა შე მ,..

შემკითხველმა გაშალა შეკუმშული ხელი და სილა გაარტყა თავ ჩაღუნულ მიმწინ მდგომ ყმაწვილ კაცს.

ყმაწვილი კაცი წაბარბაცდა, მაგრამ დროზე მაგიდას მარჯვენა ხელი დაეყრდნო და ისევ ძველი მდგომარეობა მისცა ტანს. სახის ძველი გამომეტყველებაც არ შესცვლია მხოლოდ მარცხენა ლოყა და ყური მეტის მეტად გაუწითლდა.

ყმაწვილი კაცი დარიბულად იყო ჩაცმული—ლურჯი ხალათი, შავი შარვალი და გახუნებული ტუტურკა უმოსავდა ტანს!

მთავრობის წარმომადგენელი ლანძღვა-გინებით და მუქარით მეორე ოთახში გავიდა. ყმაწვილმა კაცმა ქვეშ-ქვეშ ცქერით თვალი გაადევნა მიმავალ პოლიციელს, რომელიც, რაც ის პოლიციაში მიიყვანეს, სხვებთან ერთად ჩვენებას ართმევდა და ამით ცდლიობდა თავის სხვა და სხვა შეკითხვებზე რაიმე პასუხი მიედო.

ყმაწვილი კაცის შორი ახლო ოთახისს მეორე კარებთან იდგა ორი დაბალი თანამდებობის პოლიციელი და თვალს ირ აშორებდნენ მას.

— კუზმა,—დაეკითხა ერთი პოლიციელი მეორეს,—აბა იცი ეს „ბუნტოვშჩიკები“ რათა სწერენ თავის წაგნებზე: პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით?

— ყველანი მ... ი არიან და იმიტომ.

მიიღო რა დამაკმაყოფილებელი პასუხი ნასიამოვნებმა ამნაირი ენამახვილობით პოლიციელმა, გაიღიმა და მიმართა ყმაწვილ კაცს:

— აბა, შე ძაღლო რა გრჯოდა, გდებულიყავ შენ ქერქში! განა იმიტომ მიიღე სწავლა, რომ ყუმბარები აგროვო, იწანწალო, აგიტაცია ეწიო და ატყუო ხალხი?!

ყმაწვილი სცდილობდა არავითარი ყურადღება არ მიექცია პოლიციელებისათვის.

— კუზმა, მითხარი რა არის სოციალიზმი.

— შენ დღეს, ძმობილო, გადაგიკრავსო, ალხეინადა ხარ და ლაპარაკობ. მე კი ამმ დილას აქეთია მიმაჩემეს და ჯერ პირი არ ამიხსნია. გათენების აქეთია ელაპარაკებიან და კრინტი ვერ დააძვრევინეს. მე უფროსისა ვიყო, ვნახავდი როგორც არ მიპასუხებდა. განა გრძელ ბაასსა და ლაპარაკს გაუბამდი. ამისთანას კისერი ხომ თითონა აქვს, მე თოკს ვუშოვიდი და იმდენს გაქანავებდი, რომ ი ჩავარდნილი ენა არშინის ტოლა გადმოვარდნოდა.

პოლიციელს, რომელმაც ასე მოკლედ მოსპრა, დაბალი ტანი და გამხდარი სახე ჰქონდა. იეორე კი, რომელსაც გადაეკრა, მაღალი, სუქანი და ლიპიანი იყო.

ეს ორი პოლიციელი დიდიხანია ერთად მსახურებდენ და დიდი მეგობრობაც ჰქონდათ ერთმანეთში. დილ-დილით უფროსთა ბრძანებისამებრ ორივე ერთად ჩადიოდენ ხოლმე სამიკიტნოებში საე ჭვო პირების დასაზვერათ და წეს-რიგის დასაცავად, ამისთანა ძნელი სამსახურის ასრულების დროს რასკვრელია თითო ჭიქა არაყი უნდა გადაეკრათ, რის წინაც ორივე ერი და იმავე დროს წამოიძახებდენ ხოლმე:

— შენი სადღეგრძელო იყოს, კუზმა!

— შენი სადღეგრძელო იყოს, კოსტია!

ესეც საცნაურია, რომ ამ ორივე წესრიგს დარაჯს სამიკიტნოებში სახელად არქვეს „წყვილი შამპანია“, ვინაიდან წყვილ-წყვილად გადაბმული შამპანებიც მათებრ აუცილებლად ერთი მოზდილია, მეორე მომცრო. და როცა ნახევარ დუჟინ არაყს შეათავეებდენ, ხშირად გამხდარი კუზმა დანარჩენ სამიკიტნოების დათვალიერებაზე ცივ უარს ამბობდა სქელი კოსტია კი უფრო მხნედ ერთი განაგრძობდა სამიკიტნოების ზვერას. მხოლოდ განშორების წინ კოსტია უსათუოდ დაარცხვენდა ხოლმე თავის ამხანაგს შემდეგის საგულისხმიერო სიტყვებით:

— ეჰე, ძმობილო, ეგრე მალე უნდა მოგწყინდეს მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის სამსახური?

ამნაირი სამსახურის ასრულების შემდეგ სულ სხვა გუნებაზე დგებოდა სქელი კოსტია. ლაპარაკს არა სწყვეტდა და ენამახვილობდა, ვიდრე, როგორც იტყოდა ხოლმე გამხდარი კუზმა, მას „ზარფუში არ გაუცივდებოდა.“

— აბა მშიერ კაცს რა ალაპარაკებს, ერთი მითხარი?—დაიწყო კვალად სქელმა კოსტიამ.--ამისთანა სოციალისტებს გადააკვრევინონ პილატეს ცრემლი და მაშინ ნახე ამათი ლაპარაკი. სუყველაფერს გადმოყაპავენ—ალარც ჩაციება მოუნდებათ, ალარც ჯანდაბა. მშიერი კაცი რას გეტყვის.

კარი გაიღო, მაგრამ გასულ ბოქაულის ნაცვლად ოთახში შემოვიდა მისი თანაშემწე შუახნის კაცი. შივიდა მაგიდასთან და აუჩქარებლად დაუწყო ქაღალდებს სინჯვა. კარგა ხანი აფათურა ხელი უჯრაში. შემდეგ სკამი მაგიდასთან მისდგა და აპირებდა რა დაჯდომას, შეხედა მაგიდის წინ მდგომ ყმაწვილ კაცს და მისმა სახემ მიიღო ისეთი გამომეტყველება, თითქო პირველად შეენიშნოს უცხო კაცის იქ დგომა.

— აა, თქვენა ხართ, რატომ არ დაჯდებით. დიდი ხანია მოგიყვანეს?!

ჩვეულებრივი დუმილით გასცა პასუხი ყმაწვილმა პოლიციელს.

მოართვით სკამი.

სკამი გამხდარმა პოლიციელმა მოუტანა ყმაწვილ კაცს და უმალ გაშორდა.

— დაბძანდით.

ყმაწვილი დაჯდა.

— წადით ჰქედან.

უბძანა ბოქაულის თანაშემწემ პოლიციელებს.

პოლიციელები გავიდენ.

— იცი რა გითხრათ, ბატონო არსენ ოქვენ გიკვირთ, რო მე არსენას გიძახით და არა ნათლობის სახელს ალექსანდრეს?! უნდა გამოგიტყდეთ, რო მე ყველაფერი ვიცი თქვენი წარსულიდან. არსენა თქვენ პარტიაში გიწოდეს, ხომა?

დუმილი.

— უნდა გითხრათ, თქვენი ნახვა ძალიან მეინტერესებოდა. თქვენ რომ გიცქერით, ჩემი ახლო წარსული მაგონდება. მეც კი ვიყავი ამაყი, ქედმოუდრეკელი, მაგრამ ცხოვრება. აბა რას იზამ კაცი, როცა ოჯახი, ცოლ შვილი კისერზე გაწევს... ყმაწვილო, გთხოვთ ნება მომცეთ თქვენთან ბაასისა.

სიჩუმე.

— რამ გაიძულათ. გარეოლიუციონერობა, ჩემი ღრმარწმენაა და წინალმდეგში ვერავინ დამარწმუნებს, რომ ის წრემ დამნაშავე, რომელშიც ტრიალებდით, და არა თქვენ. როგორც ხშირად ხდება, ვიცი თქვენზედაც ამხანაგებმა იქონიეს გავლენა, თითქმის ძალად გაგხადეს რევოლიუციონერი.

სიჩუმე.

—ერთი გეთაყვა მითხარით, იცნობთ, თუ არა აქ გამოხატულებს.

ყმაწვილმა გადახედა სურათს, რომელზედაც შვიდი ყმაწვილი კაცი იყო გამოხატული და მათში თითონაც.

—ნუ მალავთ, ყმაწვილო, ნურაფერს. მე გიმეორებთ, დაწვრილებით ვიცი თქვენი ყოველივე, გაჩუმება უფრო საქმეს გიფუჭებთ... რა იქნა ეს თქვენი ექვსი ამხანაგი?

დუმილი.

ყმაწვილს თვალწინ წარმოუდგა ორი ამხანაგთაგანი, რომელიც ჩამოალრჩეს, ერთი, რომელიც გაქცევის დროს მოჰკლეს, სამნი კი მასთან ერთად დღევანდლამდე მუშაობდნენ პარტიაში.

—თქვენც ეი ამსამის ბედი მოგელით, თუ ეგრე გაკერპდებით' თქვით, სად არის ეი ეს სამი თქვენი ამხანაგი?

დავ. ლუკაშვილი.

(დასასრული იქნება).

დაჭრილი მომღერალი

(ესკიზი).

განთიადისას, ალიონზე ტყვიის ზუზუნი ჰქსელავდა ჰაერს; მელიზგერთის ველზე მურად-ჩაის პირას მოჰქროდა არაბული ბედაური, რომელზედაც იჯდა ჩაუქი ახალგაზრდა. ის ხან ზედ ეკვროდა ფაფარზე და ხან გადაწვდილი გვერდზე მოექცეოდა, რომ აეცდინა მტრის ტყვიაი მაგრამ.. ცხენი შეტორტმანდა და ყალყზე შესდგა. სასიკვდილოთ დაჭრილი მხედარი დაეცა ქოფის გასწვრივ მოლზე და აღმოხდა შემზარავი გმინვა. თითქოს ამას ელოდებოდაო სროლა შეწყდა. სდუმდა ხრიოკი მიდამო, ეს ოდესღაც ზღაპრული კუთხე მესოპოტამიისა, ამ ქვეყნიურ ედემად წოდებული დროთა უკუღმა მსვლელობით გაბოროტებული მურად-ჩაი—ეფრატი მიჰქუხდა და თან მიაგორებდა ტიტველ მთით მოგლეჯილ ლოდებს...

კვნესოდა მეომარი და იტანჯებოდა აუტანელ ტკივილისაგან. მისი სისხლი უერთდებოდა ეფრატის გიჟმაჟ ტალღებს და წითელ ზოლებად ექარგებოდა ციაგზე მოციმციმე ზვირთებს.,. სჰიხვინებდა ტაიჭი და მოუსვენრად სცემდა მიწაზე ტოტებს.

მტერი თანდათან ახლოვდებოდა. ამომავალ მზის სხივებზე შორს ელვარებდენ, ამოწვდილი ხმლები.

ისმოდა ცხენთათქარა-თქური. ერთ გული მეგობარი არა შორდებოდა პატრონს და ჭაბუკიც ჰგრძნობდა ამას, ხედავდა და გული უფრო უკვდებოდა...

— ჩემო რაშო, ჩემო სწრაფლმავალო ამხანაგო. გმადლობ საყვარელო. მალი ხარ, მაგრამ შენზე სწრაფი ყოფილა ტყვია—უალერსებდა ცხენს და თან ალვირით სწევდა თავისკენ რომ გადაეკოცნა, ეწეოდა, მაგრამ ვერ აიწია უზანგოში დარჩენილი ფეხი ძლივს გაინთავისუფლა და დაეცა.

— ჰაუ ტიალო სოფელო! როგორ შეუბრალებლად სწირავ ადამიანს, რა უდროვოდ?! ოჰ! ნეტავი სიზმარი მაინც იყოს... —ამბობდა კვლავ და ჰნაბავდა თვალებს, რომ მართლა დაესახა და ეგრძნო სიზმრად.

ვინ უწყის! იქნება უსაყვედურა კიდეც თავსა, რომ მოხალისედ წავიდა ბრძოლის ველზე?! მას მოაგონდა ის წუთები, როდესაც ის მელპომენის ტაძრის ასპარეზზე მაყურებელთაგან დაჯილდოვებული ნიჭიერ თამაშობისათვის. აღფრთოვანებული, სიამოვნებით გადაჰხედავდა ხოლმე წუთიერი მეფე... და დაავიწყდა წყლული; ვეღარა გრძნობდა ტკივილს... გონების თვალწინ რიგრიგად გაუქროლეს განვლილმა მოგონებებმა და თავის და უნებურ აღმოხდა სიმღერა—არია სინოდალისა:

— ოჰ! თამარ! თამარ!..—მღეროდა და მის ხმას ნიავი ჰფანტავდა შორს..

ამ დროს თითქოს ყველა მას უგდებდა ყურს; თვით ქვანიც კი სმენად იყვნენ გადაქცეულნი.

მოახლოვებულმა მტერმა დასარტყმელად აღმართული მახვილი ძირს დაუშვა. და ეს სურათი მომღერალს მიაჩნდა დარიალის ხეობაში მომხდარ ამბავად: ეფრატის შხუილი თერგის გააფთრებულ მძვინვარებად, ნიავის ქროლვა—კავკასიონის ქედის ბორიოდ, და თავზე თურქის დგომა „დემონად“ მტერი თავს ადგა და დასცქეროდა განცვიფრებული; ქვათ ქცეული გული მისი ადამიანურ გრძნობას შეეპყრო. მას თუმცა არ ესმოდა მომღერალის ენა, მაგრამ, მაინც ფიქრობდა, რომ რაღაცას მოასწავებდა—მისი რწმენით—ეს არაჩვეულებრივი მოვლენა: კაცი კვდება და მღერის? მისთვის რაღაცა საიდუმლოს შეადგენდა და უსმენდა მახვილზე დაყრდნობილი..

—სუსანა... სუსანა...ჩემო ღვთაებავ...— გაისმა უკანასკნელი ამონაკვნესი—ჰანგი დაჭრილ მომღერლის და მისწყდა მთების იქით.

სიკვდილის ამბორის დროს ერთხელ კიდევ მოიგონა თავისი გულის ტოლი. და თუ სინოდალი თამარს იგონებს, მან თავის მიჯნურის სახელით შესცვალა.

მას უნდოდა კვლავ გაცოცხლებულიყო ისე, როგორც ყოველ თამაშობის დროს მომაკვდავის როლში, მაგრამ ელირსება? სინოდალის შიკრიკი გუდალს აცნობებდა მაინც

საქმის ვითარებას და საქორწინოდ გამზადებულ თამარს ბანოვანნი უმღერდნენ:

„ელოდი ლხენასა,
შეხვდი ცრემლთ დენასა!..“

ვინ მიუტანს ამბავს სასიმამროს იქ, შორს ცხრა მთას იქით სამშობლოში, ვინ ეიმედოვნებს სუსანას?! ყველა მოშორდა, ყველამ დასტოვა ერთგული ცხენის გარდა, მხოლოდ ის დარჩა მასთან და შესჭიხვინა უბედურება პარტახ მთა-ბარს...

ეფრატი კი მიშხუოდა უდარდელად და თავის მრავალ საუკუნიან მატიანეში ერთ ახალ ზოლს კიდევ ავლებდა...

ს. ერთაწმინდელი

(იბეჭდება მეორედ რადგან პირველთ ქვემორე ლექსთან ვერ მოთავსდა)

ი. ა. გონიტაშვილი კ. გ. ქოქრაშვილი ა. ი. ოღრ პიშვილი შ. ი. ქოქრაშვილი თ. თევდორაშვილ ი

ქართველ ჯარის კაცის სიმღერა.

უცხო ქვეყნად
უცხო მხარეს
გამითხრიან
შავს სამარეს.

სარტფო ჩემი
მკვდარს-მძინარეს
ვერ დამაფრქვევს
ცრემლს აცხარეს.

სამშობლოთგან
განშორებულს,
ბრძოლის ველზე
გაცივებულს

ვერვინ მიცნობს
დავიწყებულს
უცხოეთში
დამიწებულს,

ყვავი თვალებს
ამომკორტნის.
მეგონება
სარტფო მკოცნის.

ჭია-ღუა
გულს ამომხრავს,
მეგონება?
სატრფო ოხრავს.

ვერ მიხილავს,
ვერ ვიხილავ,
ნეტავ თავსა
ვისთვის ვიკლავ?

თუმც შევლებავ
მე ბრძოლის ველს,
მახსენებენ
როგორც ქართველს?

თუმც გავიტან
ბრძოლით ლელოს,
ეშველება
საქართველოს?

კითხვა კითხვას
ემატება
და სიცოცხლე
მენატრება.

და სამშობლო
დაბორკილი
უბრძოლველად
დაპყრობილი

მე მეძახის:
„ჩემთან მოდი,
ჩემი ხარ და
ჩემთვის მოკვდი.

ვისთვის კვდები, თავი იცან,
დამცინიან სირცხვილს იტან?“

დავით კოპალი

თავისუფლებისთვის წამებული

ლეიტენანტი პეტრე შმიდტი.

1905 წ. სევასტოპოლის მეზღვაურთა აჯანყების მეთაური, რომელმაც ძველი—გაბატონებული წყობილების წინააღმდეგ გაბედვით ააფრიალა თავისუფლების დროშა. ცხრას ხუთი წლის განმათავისუფლებელი მოძრაობა დროებით დამარცხდა. მასთან დამარცხდა შმიდტიცა. 1906 წ. მარტის 5 იგი კუნძულ „ბერეზანიზე“ სიკვდილით დაისაჯა. ამბობენ, როცა დასასჯელათ მიიყვანეს და ამხანაგს დაავალეს მისი დახვრეტაო, შმიდტმა გასძახა: საშა გულში, გულში დამიმიზნეო. ჯალათებს უთხრა: იცოდეთ მე მკლავთ, მაგრამ ჩემს იდეას ვერ მოკლავთ: იგი თქვენ გაგანადგურებთო! მოკლულის ცხედარი მაშინ უპატიურად ჩაფლეს (მასთან ერთად დასაჯეს ორი მეზღვაურიც მაგრამ ახლა —რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ—მაისის 8 მისი ცხედარი დიდის დიდებით გადაკრძალეს.

საუკუნო ხსენება თავისუფლების პირველ მერცხალს!..

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორი!

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მე 24-№-ში„ სახალხო თეატრის ისტორია ავტორს გიორგი ჯაბაურს შეცდომით აქვს მოყვანილი, მითომ ი. ივანიძე და ალ იმედაშვილი რეჟისორათ ყოფილიყვნენ მოწვეულნი ვერის აუდიტორიაში. ისინი რეჟისორათ კი არ იყვნენ მოწვეულნი, არამედ სათამაშოდ. ივანიძე ციმბირელის როლში და ალ იმედაშვილი გაცრუებულ იმედებში“ გაბოს როლში, იმედაშვილი სულ მხოლოთ ერთხელ იყო მოწვეული სათამაშოდ, რეჟისორათ მაშინ მე (გიგო იორდანოვმ) გახლდით.

გიგო იორდანოვი.

რედაქტორ-გამომც. **იოსებ იმედაშვილი.**

სასახლის ქუჩა
თავად აზნ. სახლი

„ერთად ერთ რესტორან „**კაფე პარიზს**“ **საზაფხულოდ აქვს ბაღი**, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება **საუზმის, სადილის** და **ვახშმის** მირთმევა, არის ცალკე ფონჩატურები და კაბინეტები. **სანოვაგე საუკეთესო ღირსებისაა**
პატივისცემით სილ. გიგიბერია.

ახალი კლუბი

1 კვირის პროგრამა

ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50
ცსამშაბათი - საოჯახო საღამო
ოთხშაბ.—სინემატოგრაფი, სიმებ. ორკ.
ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30კ-დ
შაბ — საღ.
კვირა—რუსულიწარმოდგენა. ბილეთ50-30კ.